

 თიბისი კამპუსი

მეწარმეობა და ბიზნეს დაგეგმარება

სილაბუსი

შეხვედრების რაოდენობა და ხანგრძლივობა	ხანგრძლივობა: 2 თვე შეხვედრების რაოდენობა: 13 ლექცია საათების რაოდენობა: 29 საათი
განრიგი	**1 ჯგუფი** ორშაბათი - 17:00 - 19:00, ოთხშაბათი - 17:00 - 19:00 **2 ჯგუფი** სამშაბათი - 17:00 - 19:00, ხუთშაბათი - 17:00 - 19:00
ლექტორი	თორნიკე ჩხაიძე business@colab.ge
სასწავლო კურსის ფორმატი	კურსი მიმდინარეობს ონლაინ, ინტერაქტიული ლაივ სესიების ფორმატში. რეკომენდებულია კამერის ჩართვა უკეთესი კომუნიკაციისთვის.
შეფასების სისტემა (100 ქულა)	კურსის მაქსიმალური ქულაა 100. ქულები განაწილებულია შემდეგ კომპონენტებზე: **დასწრება და აქტიურობა (სულ 10 ქულა)** 10 ქულის მისაღებად სავალდებულოა მინიმუმ 9 ლექციაზე დასწრება (8 ან ნაკლებ ლექციაზე დასწრების შემთხვევაში - 0 ქულა). **ორი ინდივიდუალური ქვიზი - 20 ქულა** • ორგანიზაციული დიზაინი • ფინანსები და ფინანსური მოდელები **პრაქტიკული სავარჯიშოები - 30 ქულა** კურსის განმავლობაში 5 ვორქშოპი, რომლის შესრულება სტუდენტებს მოუწევთ ჯგუფურად. თუმცა შეფასებისას გათვალისწინებული იქნება ინდივიდუალური ჩართულობა.

შეფასების სისტემა (100 ქულა)	**ფინალური პროექტი - 40 ქულა** დაგროვებული ცოდნით, ნასწავლი პრაქტიკული ელემენტებისა და ჯგუფური მუშაობის გამოცდილებით სტუდენტებმა უნდა შექმნან ფინალური სამეწარმეო/ბიზნეს პროექტი
სერტიფიკატის მიღება	სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა სტუდენტი: • დაესწროს ლექციების მინიმუმ 51%-ს. • დააგროვოს მინიმუმ 51 ქულა • მიიღოს მონაწილეობა ფინალურ პროექტის მომზადებაში.

ლექცია	ლექციის სათაური	ძირითადი მიგნებები
#01.	ბიზნეს სტრატეგია	• ბიზნეს სტრატეგია და მისი კომპონენტები • კომპანიის ხედვა საიმონ სინეკის ოქროს წრის მიდგომის გამოყენებით • ღირებულებები - რა არის ბიზნეს ღირებულებები, და რა ზეგავლენა აქვს მას ბიზნესზე? **პრაქტიკული ნაწილი (ჯგუფური სამუშაო):** გუნდების მიერ ოქროს წრის აწყობა გუნდების მიერ ბიზნესის ღირებულებების განსაზღვრა
#02.	კომპანიის ბიზნესმოდელი	• ბიზნესმოდელის Canvas-ის შექმნის ისტორია • ბიზნეს მოდელის ტიპები - დღევანდელ სამყაროში არსებული მოდელების გაზიარება მაგალითების მიხედვით • ტექნოლოგიური კომპანიების ბიზნეს მოდელის (Lean Canvas) გაზიარება თანამედროვე კომპანიების მაგალითზე
#03.	ბიზნესმოდელი Canvas აწყობა და პრეზენტაცია	**პრაქტიკული ნაწილი (ჯგუფური სამუშაო):** ოქროს წრის და ღირებულებების განსაზღვრის შემდეგ, იმავე შერჩეულ იდეებზე და ბიზნესებზე გუნდების მიერ ბიზნეს მოდელი Canvas-ის აწყობა და მისი 5 წუთიანი პრეზენტაცია

ლექცია	ლექციის სათაური	ძირითადი მიგნებები
#04.	ორგანიზაციის სტრუქტურა vs ორგანიზაციის დიზაინი	• რა არის ორგანიზაციული სტრუქტურა • როგორი ტიპის ორგანიზაციული სტრუქტურები არის გავრცელებული დღევანდელ სამყაროში • რა არის ორგანიზაციის დიზაინი • როგორ უნდა შევქმნათ თანამედროვე კომპანიის ორგანიზაციის დიზაინი Unfix მეთოდოლოგიის გამოყენებით
#05.	ჯგუფური სავარჯიშო: ორგანიზაციის დიზაინის აწყობა და პრეზენტაცია	1-ელ ლექციაზე შერჩეული გუნდების მიერ, მათ ბიზნეს მაგალითებზე ორგანიზაციის დიზაინის აწყობა და შემდგომ მისი პრეზენტაცია აუდიტორიის წინაშე **ინდივიდუალური ქვიზი** ორგანიზაციული დიზაინი
#06.	მიზნები და სამოქმედო გეგმა	• როგორ უნდა დავსახოთ და გავზომოთ მიზნები ორგანიზაციაში • OKR და KPI მიდგომებს შორის სხვაობა • როგორ უნდა შევადგინოთ დასახულ მიზნებზე სამოქმედო გეგმა
#07.	OKR მეთოდოლოგიით მიზნების დასახვა და პრეზენტაცია	**პრაქტიკული ნაწილი (ჯგუფური სამუშაო):** გუნდების მიერ შერჩეულ ბიზნესებზე უნდა მოხდეს მიზნების დასახვა OKR მეთოდოლოგიის გამოყენებით 5-7 წუთიანი პრეზენტაცია თითო გუნდის მიერ
#08.	მოწვეული სტუმარი: წარმატების მაგალითის გაზიარება	წარმატებული სტარტაპ კომპანიის დამფუძნებელი ან ტრადიციული ბიზნესის ტოპ მენეჯმენტის წარმომადგენელი გააზიარებს საკუთარ გამოცდილებას. სტუდენტები ჩართულები იქნებიან სტუმრის არჩევაში და მათი არჩევანის მიხედვით მოხდება მოწვევა.

ლექცია	ლექციის სათაური	ძირითადი მიგნებები
#09.	სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები	• რა არის ფინანსური აღრიცხვა და რისგან შედგება ის • მოგება & ზარალის თეორიული ნაწილის ახსნა • მოგება&ზარალზე ინდივიდუალური სავარჯიშო • ფინანსური მდგომარეობის უწყისის თეორიული ნაწილის ახსნა **პრაქტიკული ნაწილი (ჯგუფური სამუშაო):** ფინანსური მდგომარეობის უწყისები
#10.	როგორ დავწეროთ ბიზნესგეგმა	• ფულადი ნაკადების თეორიული ნაწილის ახსნა • ფულადი ნაკადებზე ინდივიდუალური სავარჯიშო • რა არის ბიზნესგეგმა და რა კომპონენტებისგან შედგება • რა მიზნებისთვის არის საჭირო ბიზნესგეგმა • მოთხოვნა და მიწოდების ანალიზის ახსნა • ბიზნეს კონცეფციის ახსნა **ინდივიდუალური ქვიზი** ფინანსები და ბიზნეს გეგმა
#11.	ფინანსური მოდელის აწყობა	• ფინანსური მოდელის ახსნა • ფინანსური მოდელის ტექნიკურად აწყობის ახსნა • ფინანსური მოდელის შაბლონი გაუზიარდება ყველა სტუდენტს **პრაქტიკული ნაწილი (ჯგუფური სამუშაო):** სტუდენტების მიერ ლექციის მიმდინარეობისას და ასევე დამოუკიდებლად უნდა მოხდეს ფინანსური მოდელის შედგენა

ლექცია	ლექციის სათაური	ძირითადი მიგნებები
#12.	პროექტების მართვის ტექნიკები ბიზნესის მართვისთვის საჭირო ციფრული პროდუქტები	• რა არის პროექტი? • როგორ ვმართოთ პროექტი ეფექტურად? • რა მიდგომებია გავრცელებული პროექტების სამართავად • ციფრული ინსტრუმენტები პროექტების მართვისთვის • თანამედროვე ბიზნესში არსებული ძირითადი პლატფორმების გაზიარება • როგორ გამოვიყენოთ ციფრული პლატფორმები • ფინალური პროექტის შეკვრა
#13.	ფინალური პრეზენტაციები	ფინალური პროექტის წარდგენა